ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 4/16

2024 წლის 25 აპრილი

ქალაქი ფოთი

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერისთვის, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ ფოთში, მალთაყვის სანაპიროზე მდებარე უძრავი ქონების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სპორტისა და ტურიზმის ცენტრისათვის" უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, აუქციონის გარეშე სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით თანხმობის მიცემის შესახებ

საჯარო რეესტრის ამონაწერის შესაბამისად დანართი №1-ში მითითებული უძრავი ქონება წარმოადგენს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებას.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წინადადებით შემოვიდა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დანართი N1-ში მითითებული უძრავი ქონების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სპორტისა და ტურიზმის ცენტრისათვის" უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, აუქციონის გარეშე, სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით თანხმობის მისაღებად.

,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" საქართველოს ორგანული კანონის 122-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია მუნიციპალიტეტის ქონება უსასყიდლო აღნაგობის, უსასყიდლო უზუფრუქტისა და თხოვების ფორმებით, აუქციონის გარეშე გადასცეს სახელმწიფოს და ავტონომიური რესპუბლიკების ორგანოებს, სხვა მუნიციპალიტეტს, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს (გარდა პოლიტიკური პარტიისა), მუნიციპალიტეტის/მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, საწარმოს, რომლის წილის ან აქციათა 50%-ზე მეტს ფლობს/ფლობენ მუნიციპალიტეტი/მუნიციპალიტეტები, ან მხოლოდ მუნიციპალიტეტის/მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.

ამასთანავე, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის, 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული წესების 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, გარდა თბილისის მუნიციპალიტეტისა, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, მუნიციპალიტეტის ქონებას უსასყიდლო აღნაგობის, უსასყიდლო უზუფრუქტისა და თხოვების ფორმებით, აუქციონის გარეშე, გადასცემს სახელმწიფო და ავტონომიური რესპუბლიკების ორგანოებს, სხვა მუნიციპალიტეტებს, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს (გარდა პოლიტიკური

პარტიებისა), მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებსა და მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ საწარმოებს.

ამდენად, მიზანშეწონილია ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერისთვის, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დანართი №1-ში მითითებული უძრავი ქონების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სპორტისა და ტურიზმის ცენტრისათვის" უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, აუქციონის გარეშე სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით თანხმობის მიცემა.

აღნიშნულიდან გამომდინარე:

მუხლი 1.
მიეცეს თანხმობა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერს, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დანართი №1-ში მითითებული უძრავი ქონება 3 (სამი) წლის ვადით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, აუქციონის გარეშე, სარგებლობაში გადასცეს არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სპორტისა და ტურიზმის ცენტრს" (ს/კ 415106414).
მუხლი 2.
განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი, დავით აღმაშენებლის ქუჩა №3).
მუხლი 3. განკარგულება ძალაშია 2024 წლის 25 აპრილიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე **ალექსანდრე ტყებუჩავა**

დანართი N1

№	მისამართი	დასახელება	მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი
1	ქალაქი ფოთი, მალთაყვის სანაპირო	50.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	04.02.12.752
2	ქალაქი ფოთი, მალთაყვის სანაპირო	50.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	04.02.12.751
3	ქალაქი ფოთი, მალთაყვის სანაპირო	50.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	04.02.12.756
4	ქალაქი ფოთი, მალთაყვის სანაპირო	50.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	04.02.12.760
5	ქალაქი ფოთი, მალთაყვის სანაპირო	50.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	04.02.12.758
6	ქალაქი ფოთი, მალთაყვის სანაპირო	50.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	04.02.12.757
7	ქალაქი ფოთი, მალთაყვის სანაპირო	50.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	04.02.12.759
8	ქალაქი ფოთი, მალთაყვის სანაპირო	50.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	04.02.12.755
9	ქალაქი ფოთი, მალთაყვის სანაპირო	50.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	04.02.12.754
10	ქალაქი ფოთი, მალთაყვის სანაპირო	50.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	04.02.12.753
11	ქალაქი ფოთი, მალთაყვის სანაპირო	104727.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები N1, N2, N3	04.02.12.972
12	ქალაქი ფოთი, მალთაყვის სანაპირო	100.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1	04.02.12.748
13	ქალაქი ფოთი, მალთაყვის სანაპირო	101.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1	04.02.12.747
14	ქალაქი ფოთი, მალთაყვის სანაპირო	153.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1	04.02.12.746
15	ქალაქი ფოთი, მალთაყვის სანაპირო	94.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1	04.02.12.749
16	ქალაქი ფოთი, მალთაყვის სანაპირო	48.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1	04.02.12.750

საკრებულოს თავმჯდომარე ალექსანდრე ტყებუჩავა